

თვის მიმოხილვა

ივნისი

საქართველოს ეროვნული ბანკი

2021



2018

2019

2020

2021

“თვის მიმოხილვა“
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ


ყოველწიური პუბლიკაცია

ISSN 1512-1259

სარჩევი


1. სამომხმარებლო ფასების ცვლილება	4
2. მონეტარული აგრეგატების დინამიკა	8
3. საბანკო სექტორი	10
4. სავალუტო ბაზარი	15
5. ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი	19
6. საგარეო სექტორის მიმოხილვა	21

წლიური ფასების ცვლილება სამომხმარებლო კალათის ჯგუფების მიხედვით



ივნისში წლიურმა ინფლაციამ იმპორტირებულ პროცენტი შეადგინა. შერეული საქონელი 10.8 საქონელზე 18.4 პროცენტამდე მოიმატა, ხოლო პროცენტით გაძვირდა. ადგილობრივად წარმოებულ საქონელზე 5.5


იმპორტირებული და ადგილობრივი საქონლის ინფლაცია



2020 წლის ივნისში, წინა თვესთან შედარებით, ხანმოკლე და საშუალო ხანგრძლივობის მოხმარების საქონელი, შესაბამისად, 0.9 და 0.4 პროცენტით გაძვირდა. მომსახურებაზე ფასებმა 0.5 პროცენტით მოიმატა. ხანგრძლივი მოხმარების საქონელზე ფასები 0.9 პროცენტით შემცირდა.

წლიური მაჩვენებლების მიხედვით, ხანმოკლე, საშუალო და ხანგრძლივი მოხმარების საქონელი, შესაბამისად, 14.0, 5.5 და 7.2 პროცენტით გაძვირდა. მომსახურებაზე ფასებმა 3.5 პროცენტით მოიმატა.

წლიური ინფლაციის მაჩვენებლები სხვადასხვა ხანგრძლივობის მოხმარების საქონლისა და მომსახურებისათვის



წყარო: საქსტატი

ინფლაციის (სფი) მაჩვენებლები ცალკეული კომპონენტების მიხედვით (პროცენტი), მათი წონა სამომხმარებლო კალათაში (პროცენტი) და წვლილი სფი-ში (პროცენტული პუნქტი).

	2020 წლის დეკემბრის წონები	ივნ21/მაი21		ივნ21/ივნ20	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	0.7%	0.7%	9.9%	9.9%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	32.2%	0.2%	0.1%	8.8%	2.7%
სურსათი	28.9%	0.2%	0.1%	9.0%	2.5%
პური და პურპროდუქტები	5.6%	0.6%	0.0%	5.5%	0.3%
ხორცი და ხორცპროდუქტები	6.8%	-0.8%	-0.1%	5.3%	0.4%
თევზი	0.5%	2.0%	0.0%	11.1%	0.1%
რძე, ყველი და კვერები	6.3%	-3.0%	-0.2%	10.6%	0.6%
ზეთი და ცხიმი	1.9%	3.4%	0.1%	47.1%	0.8%
ხილი, ყურძენი	1.6%	-4.4%	-0.1%	-19.5%	-0.5%
ბოსტნეული, ბაღყეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.3%	8.5%	0.3%	16.6%	0.5%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.3%	-0.4%	0.0%	13.7%	0.3%
კვების სხვა პროდუქტები	0.6%	0.5%	0.0%	6.0%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	3.3%	0.1%	0.0%	7.0%	0.2%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.4%	0.3%	0.0%	7.4%	0.5%
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	3.8%	0.0%	0.0%	-0.3%	0.0%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	9.0%	2.7%	0.3%	10.5%	1.2%
ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.3%	0.3%	0.0%	10.6%	0.6%
ჯანმრთელობის დაცვა	7.8%	0.5%	0.0%	11.6%	0.9%
ტრანსპორტი	13.0%	0.4%	0.1%	22.0%	2.6%
კავშირგაბმულობა	3.6%	-0.7%	0.0%	-0.8%	0.0%
დასვენება, გართობა და კულტურა	3.7%	1.6%	0.1%	4.8%	0.2%
განათლება	4.6%	-0.3%	0.0%	1.3%	0.1%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	5.4%	1.0%	0.1%	9.6%	0.5%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5.3%	0.4%	0.0%	5.6%	0.3%
ხანმოკლე მოხმარების საქონელი	58.1%	0.9%	0.6%	14.0%	8.1%
საშუალო მოხმარების საქონელი	7.3%	0.4%	0.0%	5.5%	0.4%
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	4.5%	-0.9%	0.0%	7.2%	0.3%
მომსახურება	30.1%	0.5%	0.1%	3.5%	1.1%

წყარო: საქსტატი


2. მონეტარული აგრეგატების დინამიკა

მონეტარული აგრეგატები

2021 წლის ივნისში წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 75.6 მლნ ლარით (1.5 პროცენტით) შემცირდა და საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის 5.1 მლნ ლარი შეადგინა. საშუალო მაჩვენებლის მიხედვით, წინა თვესთან

შედარებით, მონეტარული ბაზა 80.4 მლნ ლარით (1.5 პროცენტით) შემცირდა. პერიოდის ბოლოსთვის, სარეზერვო ფულის წლიური ზრდის ტემპი 5.8 პროცენტს გაუტოლდა.

სარეზერვო ფულის ცვლილება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საანგარიშო პერიოდში, ეროვნულ ბანკს სავალუტო აუქციონებით ინტერვენციები არ განუხორციელებია. და Bmatch პლატფორმის მეშვეობით სებ-ის წმინდა გაყიდვები 9.3 მლნ აშშ დოლარი იყო, შიდასამთავრობო კონვერტაციებით, საქართველოს ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვებმა, ივნისში 60.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. შედეგად, წმინდა უცხოური აქტივები დაახლოებით 69.9 მლნ აშშ დოლარით შემცირდა.

ივნისში, მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 284.7 მლნ ლარით გაიზარდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის 988.2 მლნ ლარს გაუტოლდა.

საანგარიშო პერიოდში, განთავსდა 20 მლნ ლარის და დაიფარა იმავე ოდენობის ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერთიფიკატები.

აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, რეზინანსირების სესხების მოცულობა წინა თვესთან შედარებით 500.0 მლნ ლარით გაიზარდა და 1,410.0 მლნ ლარი შეადგინა. ერთთვიანი სესხის მოცულობა უცვლელია და 400 მლნ ლარს უტოლდება, ხოლო ერთდღიანი სესხი 170.0 მლნ ლარით გაიზარდა. ამავე პერიოდში, მცირე და საშუალო ბიზნესის

ლიკვიდობის მხარდამჭერი სესხის ნაშთის ოდენობა გაიზარდა 23.5 მლნ ლარით. ამასთან, დაიფარა მუდმივმოქმედი სვოპი 337.8 მლნ ლარის ოდენობით. შედეგად, საანგარიშო პერიოდში, ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 354.9 მლნ ლარით გაიზარდა და პერიოდის ბოლოსთვის, 2,539.9 მლნ ლარს გაუტოლდა. გარდა ამისა, თვის განმავლობაში 208.1 მლნ ლარით შემცირდა სავალუტო სვოპის მოცულობა. მეორად ბაზარზე სახაზინო ფასიანი ქაღალდების წმინდა შესყიდვამ კი 108.3.0 მლნ ლარი შეადგინა.

ზემოაღნიშნული ფულადი ნაკადების მოძრაობის ზეგავლენით, თვის განმავლობაში სარეზერვო ფულის მოცულობა 75.8 მლნ ლარით შემცირდა. მათ შორის, ნაღდი ფული მიმოქცევაში - 15.7 მლნ ლარით, ხოლო საქართველოს ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკების ეროვნული ვალუტით განთავსებულ საკორესპონდენტო ანგარიშებზე ნაშთები - 23.4 მლნ ლარით გაიზარდა. ამასთან. კომერციული ბანკების ერთდღიან დეპოზიტებზე არსებული ნაშთების ოდენობა 83.4 მლნ ლარით შემცირდა.

სარეზერვო ფულის დინამიკა (ათასი ლარი)

	იან-21	თებ-21	მარ-21	აპრ-21	მაი-21	ივნ-21
სარეზერვო ფული	4 885 637	4,943,702	4,577,073	5,442,135	5,151,466	5,075,714
ფული მიმოქცევაში	4 417 990	4,472,684	4,469,501	4,638,706	4,565,055	4,549,315
ბანკების დეპოზიტები	467 647	471,018	107,572	803,429	586,411	526,399
საკორესპონდენტო ანგარიშზე ნაშთები	333 647	459,018	48,154	746,429	466,011	489,401
ერთდღიანი დეპოზიტები	134 000	12,000	59,418	57,000	120,400	36,998

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საშუალო სარეზერვო ფულის დინამიკა (ათასი ლარი)

	იან-21	თებ-21	მარ-21	აპრ-21	მაი-21	ივნ-21
სარეზერვო ფული	5,062,263	4,971,242	5,028,096	5,101,629	5,205,010	5,124,660
ფული მიმოქცევაში	4,473,858	4,456,799	4,499,571	4,537,656	4,568,860	4,560,563
ბანკების დეპოზიტები	588,405	514,443	528,525	563,973	636,151	564,097
საკორესპონდენტო ანგარიშზე ნაშთები	490,150	431,727	461,849	500,273	453,332	517,092
ერთდღიანი დეპოზიტები	98,255	82,716	66,677	63,699	182,819	47,004

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფართო ფული

2021 წლის ივნისში, ფართო ფულის, M3-ის აგრეგატი 410.5 მლნ ლარით შემცირდა და თვის ბოლოსათვის 30.6 მლრდ ლარი შეადგინა. წლიური ზრდის ტემპი კი 19.4 პროცენტი იყო. საანგარიშო პერიოდში, უცხოური ვალუტით დეპოზიტებზე 589.0 მლნ ლარით კლება დაფიქსირდა და ივნისის ბოლოსთვის, 16.3 მლრდ ლარს გაუტოლდა, რაზეც მნიშვნელოვანი გავლენა, გაცვლითი კურსის გამყარების შედეგად, უცხოური ვალუტის დეპოზიტების ლარით გამოსახული მაჩვენებლის

კლებამ განაპირობა. ამავე პერიოდში, 133.9 მლნ ლარით გაიზარდა ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტების ოდენობა და მისმა მოცულობამ - 10.5 მლრდ ლარი შეადგინა. ფართო ფული M2-ის მაჩვენებელი, საანგარიშო პერიოდში, 1.2 პროცენტით (178.6 მლნ ლარით) გაიზარდა.

ფულადი აგრეგატების დინამიკა (ათასი ლარი)

	იან-21	თებ-21	მარ-21	აპრ-21	მაი-21	ივნ-21
ფართო ფული /M3/	30,081,265	31,098,246	31,931,184	31,322,492	30,969,343	30,558,878
ფულადი მასა /M2/	13,191,646	13,457,627	13,638,261	13,843,949	14,041,688	14,220,267
ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფული	3,647,322	3,671,090	3,621,975	3,715,975	3,651,087	3,695,787
ლარები მიმოქცევაში	4,417,990	4,472,684	4,469,501	4,638,706	4,565,055	4,549,315
დეპოზიტები ეროვნული ვალუტით	9,544,324	9,786,537	10,016,286	10,127,974	10,390,601	10,524,480
დეპოზიტები უცხოური ვალუტით	16,889,618	17,640,619	18,292,923	17,478,543	16,927,655	16,338,611

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


3. საბანკო სექტორი

2021 წლის ივნისში, წინა თვესთან შედარებით, საბანკო სისტემის სადეპოზიტო ვალდებულებები 822.1 მლნ ლარით (2.3 პროცენტით) შემცირდა და 34.6 მლრდ ლარს გაუტოლდა. 2020 წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებაში, მთლიანი დეპოზიტების მოცულობა 20.5 პროცენტით არის გაზრდილი. სადეპოზიტო ვალდებულებების კლებაზე ძირითად

თადი გავლენა კურსის გამყარების შედეგად, უცხოური ვალუტის დეპოზიტების ლარით გამოსახული მაჩვენებლის კლებამ განაპირობა.

სადეპოზიტო ვალდებულებები

მილიარდი ლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საანგარიშო პერიოდში, წინა თვესთან შედარებით, ლარით დენომინირებული დეპოზიტების მოცულობა 53.5 მლნ ლარით (0.4 პროცენტით) შემცირდა და 13.8 მლრდ ლარი შეადგინა. სამთავრობო სექტორის დეპოზიტები კლების მიმართულებით მოქმედებდა (შემცირდა 129.7 მლნ ლარით). ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტები 7.1 მლნ ლარით გაიზარდა და ფიზიკური პირის დეპოზიტები 69.0 მლნ ლარით გაიზარდა.


კომერციულ ბანკებში, უცხოური ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებზე 0.02 პროცენტიანი (1.5 მლნ აშშ დოლარი) ზრდა დაფიქსირდა და პერიოდის ბოლოს, 6.58 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა ძირითადად, ფიზიკური პირების მიმდინარე ანგარიშების მოცულობის გაფართოებით არის განპირობებული.

სავალუტო და სალარე დეპოზიტების ზრდის ტემპებიდან გამომდინარე, დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი, 2021 წლის ივნისში 0.8 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 60.1 პროცენტს შეადგენს. საანგარიშო პერიოდის ბოლოს, იურიდიული და ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია, შესაბამისად, 49.2 და 75.4 პროცენტს შეადგენდა.


მიმდინარე წლის ივნისში, საშუალო საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე 0.1 პროცენტული

პუნქტით შემცირდა და 7.1 პროცენტს გაუტოლდა. ეროვნული ვალუტით მოზიდულ დეპოზიტებზე, ბანკების მიერ გადახდილი სარგებლის წლიური საშუალო შეწონილი განაკვეთი წინა პერიოდთან შედარებით 0.3 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 10.0 პროცენტი შეადგინა. იურიდიული პირების ეროვნული ვალუტით დეპოზიტებზე, საპროცენტო განაკვეთმა, წინა თვესთან შედარებით 0.2 პროცენტული პუნქტით მოიმატა და 9.8 პროცენტის დონეზეა. ფიზიკური პირების დეპოზიტებზე წლიური განაკვეთები წინა თვესთან შედარებით 1.0 პროცენტული პუნქტით მოიმატა და 10.8 პროცენტს გაუტოლდა. უცხოური ვალუტით მოზიდული დეპოზიტების წლიური განაკვეთი 0.3 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 1.2 პროცენტი შეადგინა. უცხოური ვალუტით იურიდიული პირების დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთები 2.3 პროცენტს უტოლდება. უცხოური ვალუტით ფიზიკური პირების დეპოზიტებზე განაკვეთი 0.5 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 1.1 პროცენტის ნიშნულზეა. 2020 წლის ივნისში, არსებულ განაკვეთებთან შედარებით, ეროვნული ვალუტით დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები 0.3 პროცენტული პუნქტით 10.0 პროცენტამდე გაიზარდა. კლება დაფიქსირდა უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების განაკვეთებზე, 1.4 პროცენტული პუნქტით და 1.2 პროცენტს გაუტოლდა.

დეპოზიტები ეროვნული ვალუტით




დეპოზიტები უცხოური ვალუტით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დეპოზიტების ზრდის ტემპი წინა თვესთან




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2021 წლის ივნისში, წინა თვესთან შედარებით, კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკის დაკრედიტება 220.6 მლნ ლარით შემცირდა და მთლიანი მოცულობა 38.7 მლრდ ლარს გაუტოლდა. საკრედიტო პორტფელის შემცირება კურსის გამყარების შედეგად, უცხოური ვალუტის სესხების ლარით გამოსახული მაჩვენებლის კლებამ განაპირობა. კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების პორტფელის წლიურმა ზრდის ტემპმა კი 16.2 პროცენტი შეადგინა. გაცვლითი კურსის

ეფექტის გარეშე კი, სესხების წლიური ზრდა 11.4 პროცენტი იყო. საკრედიტო პორტფელის 89.2 პროცენტი გრძელვადიან სესხებზე მოდიოდა, რომლის 89.5 პროცენტი უცხოური ვალუტით იყო გაცემული. მოკლევადიან სესხებში კი უცხოური ვალუტით სესხების წილი 39.8 პროცენტს შეადგენდა.

სესხების ზრდის ტემპი წინა თვესთან



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


საანგარიშო პერიოდში, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხები 492.9 მლნ ლარით (2.8 პროცენტით) გაიზარდა და 18.31 მლრდ ლარს გაუტოლდა. აღნიშნული ცვლილება, ძირითადად ფიზიკური პირების გრძელვადიანი დაკრედიტების ზრდით იყო განპირობებული.

უცხოური ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა ივნისში 5.1 მლნ აშშ დოლარით (0.1

პროცენტით) შემცირდა, წინა თვესთან შედარებით და პერიოდის ბოლოს 6.63 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. ამ კატეგორიის კრედიტების 62.2 პროცენტს იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები შეადგენს, ხოლო 89.5 პროცენტი გრძელვადიან დაკრედიტებას უჭირავს.

მოკლევადიანი სესხები ეროვნული ვალუტით


მილიონი ლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მოკლევადიანი სესხები უცხოური ვალუტით


მილიონი ლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

გრძელვადიანი სესხები ეროვნული ვალუტით


მილიონი ლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

გრძელვადიანი სესხები უცხოური ვალუტით

მილიონი ლარი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საბანკო სისტემაში საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები სესხებზე, მიმდინარე წლის ივნისში, 0.1 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 12.0 პროცენტს შეადგენს. უცხოური ვალუტით დენომინირებულ სესხებზე, საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 6.5 პროცენტს შეადგენს. ეროვნული ვალუტით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.2 პროცენტული პუნქტით, 15.6 პროცენტამდე შემცირდა. ეროვნული ვალუტით სესხების შემთხვევაში, საპროცენტო განაკვეთებმა ფიზიკური პირებისთვის 0.3 პროცენტული პუნქტით, 18.1 პროცენტამდე მოიკლო, ხოლო იურიდიული პირების სესხებზე 0.2 პროცენტული პუნქტით, წლიურ 12.6 პროცენტამდე გაიზარდა.

უცხოური ვალუტის შემთხვევაში, იურიდიული პირების სესხებზე საპროცენტო განაკვეთები 0.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 6.8 პროცენტის დონეზე, ხოლო ფიზიკური პირების მიერ უცხოური ვალუტით აღებული სასესხო განაკვეთები კი, 5.5 პროცენტის ნიშნულზეა. წინა წლის ივნისთან შედარებით, საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტის სესხებზე 0.4 პროცენტული პუნქტით შემცირდა, ხოლო ეროვნული ვალუტის სესხებზე - 0.2 პროცენტული პუნქტით.

სესხების და დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


4. სავალუტო ბაზარი

1. გაცვლითი კურსი

ივნისში ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ საშუალოდ 3.3813-დან 3.1616-მდე (6.5 პროცენტით), ხოლო ევროს მიმართ საშუალოდ 4.1070-დან 3.8111-მდე (7.2 პროცენტით)

გამყარდა. თვის ბოლოს კი ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 3.1603 და 3.7608 შეადგინა, შესაბამისად.

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ, თვის საშუალო




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივნისში ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალურმა მნიშვნელობამ - 3.2688, ხოლო მინიმალურმა 3.0791 შეადგინა. შესაბამისად, თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან მაქსიმალური გადახრა - 3.4 პროცენტი, ხოლო მინიმალური -2.6 პროცენტი დაფიქსირდა.

საერთაშორისო სავალუტო ბაზრებზე დოლარი რუსული რუბლის მიმართ საშუალოდ - 2.0 პროცენტით და სომხური დრამის მიმართ 1.4 პროცენტით გაუფასურდა, ხოლო თურქული ლირის მიმართ 2.9 პროცენტით და ევროს მიმართ 0.8 პროცენტით გამყარდა, აზერბაიჯანული მანათის მიმართ კი პრაქტიკულად უცვლელი დარჩა¹.

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველდღიური მერყეობის დიაპაზონი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


¹ წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

წინა თვესთან შედარებით ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი - 7.4 პროცენტით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 7.2 პროცენტით გამყარდა. წლიურად, ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 1.9 პროცენტით გამყარდა, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 1.2 პროცენტით გაუფასურდა.

სავაჭრო პარტნიორთაგან ივნისში წლიური ინფლაცია საქართველოში დაფიქსირებული 9.9 პროცენტის ტოლი იყო ბელორუსში, მაღალი იყო

თურქეთში 17.5 პროცენტი, ხოლო დაბალი იყო უკრაინაში 9.5 პროცენტი, რუსეთსა და სომხეთში - 6.5 პროცენტი, აშშ-ში - 5.4 პროცენტი, აზერბაიჯანში - 4.7 პროცენტი და ევროზონაში - 1.9 პროცენტი.

ლარის რეალური და ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსების ინდექსები (დეკ 2012=100)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2. სავალუტო ბაზრის ტენდენციები


ბანკთაშორის სავალუტო ბაზარი

2021 წლის ივნისში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 118.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვის მაჩვენებელზე 27.7 მლნ აშშ დოლარით მეტი, ხოლო წინა წლის ივნისის მონაცემზე კი 33.5 მლნ აშშ დოლარით ნაკლებია. იმავდროულად, ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით - 25.0 პროცენტით, წლიურად კი 56.2 პროცენტით გაიზარდა.

საანგარიშო პერიოდში სავალუტო ბაზრის კონცენტრაცია შემცირდა: ბანკთაშორის სავალუტო გარიგებების მთლიანი თანხის 61 პროცენტი (მაისი - 62 პროცენტი) ქვეყანაში მოქმედი 15 ბანკიდან და 6 არასაბანკო ორგანიზაციიდან 5 ყველაზე აქტიურ ორგანიზაციაზე მოდის. დადებული გარიგებების რაოდენობის მიხედვით, ყველაზე აქტიურ 5 ორგანიზაციას ბაზრის 58 პროცენტი უჭირავს. ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი შემცირდა და 9 პროცენტია (მაისი - 10 პროცენტი), რაც დაბალი მაჩვენებელია და სავალუტო ბაზრის კონკურენტულობაზე მიუთითებს.

² რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში

ბანკთაშორის სავალუტო ბაზარი და ეროვნული ბანკის წვლილი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ვაჭრობა ბანკებსა და დანარჩენ კონომიკურ აგენტებს შორის

ივნისში სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები გაიზარდა. უცხოური ვალუტით ლარის ვაჭრობა თითქმის მთლიანად სპოტ³ გარიგებებით ხდებოდა (99.6 პროცენტი) და 1,809.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მაისის მონაცემთან შედარებით - 316.4 მლნ აშშ დოლარით, ხოლო წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 458.3 მლნ აშშ დოლარით მეტია.

სპოტ გარიგებების ძირითადი ნაწილი იურიდიულ პირებზე (66.9 პროცენტი) მოდიოდა, დანარჩენი კი შინამეურნეობებზე (31.4 პროცენტი) და არარეზიდენტ ბანკებზე (1.2 პროცენტი). საქართველოს ეროვნული ბანკის ინტერვენციების წილი 0.5 პროცენტი იყო. წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნულმა ბანკმა თვის განმავლობაში 9.3 მლნ აშშ დოლარი გაყიდა.

სებ-ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე (მლნ აშშ დოლარი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

³ სპოტი გარიგება ხდება იმავდროული ვალუტირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.


საერთო ჯამში, სპოტ გარიგებებით ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნამ 909.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მაისის მაჩვენებელთან შედარებით - 142.0 მლნ აშშ დოლარით, ხოლო წლიურად 237.3 მლნ აშშ დოლარით მეტია. სეგმენტების ანალიზი აჩვენებს, რომ სპოტ გარიგებებით იურიდიული პირების მიერ უცხოური ვალუტის ყიდვებმა 689.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, შინამეურნეოების შესყიდვები 217.5 მლნ აშშ დოლარი იყო, ხოლო არარეზიდენტი ბანკების - 1.9 მლნ აშშ დოლარი.

რაც შეეხება ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოური ვალუტის სპოტ გარიგებებით მიწოდებას, ივნისში 900.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მაისის მაჩვენებელთან შედარებით - 174.3 მლნ აშშ დოლარით, ხოლო წლიურად 221.0 მლნ აშშ დოლარით მეტია. იურიდიულმა პირებმა გაყიდეს 520.0 მლნ აშშ დოლარი, შინამეურნეოებმა - 350.9 მლნ აშშ დოლარი, არარეზიდენტმა ბანკებმა კი - 20.2 მლნ აშშ დოლარი. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაყიდული აშშ დოლარი 9.3 მლნ აშშ დოლარს შეადგენს.

სპოტ გარიგებით შეძენილი უცხოური ვალუტა



სპოტ გარიგებით გაყიდული უცხოური ვალუტა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივნისში სავალუტო ფორვარდ⁴ გარიგებებით ბანკებსა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის უცხოური ვალუტით ვაჭრობამ 6.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მაისის მონაცემთან შედარებით - 19.2 მლნ აშშ დოლარით, ხოლო წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 35.7 მლნ აშშ დოლარით ნაკლებია. ფორვარდ გარიგებების ძირითადი ნაწილი არარეზიდენტ ბანკებზე (70.3 პროცენტი) მოდიოდა, ხოლო დანარჩენი იურიდიულ პირებზე (29.7 პროცენტი). ფორვარდ გარიგებებით დანარჩენი

ეკონომიკური აგენტების მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვებმა -0.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.


⁴ სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების ჰეჯირებისათვის (დაზღვევისათვის). ფორვარდი იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში.

5. ბანკთაშორის ფულადი ბაზარი

სადეპოზიტო სერტიფიკატები ივნისში სადეპოზიტო სერტიფიკატების ერთი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონზე ბანკების მხრიდან მოთხოვნამ 51.6 მლნ ლარი შეადგინა და სრულად განთავსდა 20 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერტიფიკატები, საანგარიშსწორებო ფასით 19.5 მლნ ლარი. საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი არ შეცვლილა

და 9.50 პროცენტს შეადგენს. ივნისში არსებული დაფარვების გათვალისწინებით, სადეპოზიტო სერტიფიკატების ნომინალური მოცულობა უცვლელია და 60 მლნ ლარია.

3-თვიანი სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონის საპროცენტო განაკვეთები




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სახაზინო ფასიანი ქაღალდების აუქციონები ივნისში ჩატარდა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ოთხი აუქციონი, რომელზეც 85 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. საანგარიშსწორებო ფასმა 83.1 მლნ ლარი შეადგინა. ბანკების მხრიდან მოთხოვნამ ფასიან ქაღალდებზე ემისიას 3-ჯერ გადააჭარბა.

ივნისში ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, ორწლიანი და ხუთწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 15, 15, 20 და 35 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. დაფარვების გათვალისწინებით, სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი 12.4 მლნ ლარით შემცირდა და 5,422 მლნ ლარია.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, 6-თვიანი სახაზინო ვალდებულებების განაკვეთი 0.95 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 9.41 პროცენტს შეადგენს. ერთწლიანი სახაზინო ვალდებულებების განაკვეთი 9.15 პროცენტია, რაც 0.70 პროცენტული პუნქტით მეტია წინა თვის მაჩვენებელზე. ორწლიანი სახაზინო ფასიანი ქაღალდების განაკვეთიც 0.70 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 9.25 პროცენტს შეადგენს. ხოლო, ხუთწლიანი სახაზინო ფასიანი ქაღალდების განაკვეთი 0.31 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 9.09 პროცენტია.

შემოსავლიანობის მრუდი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბანკთაშორის ფულადი ბაზარი ივნისში ბანკთაშორის ფულადი ბაზრის ზრდა შეინიშნებოდა, რაც ძირითადად ეროვნული ვალუტის რესურსის ბრუნვის ზრდით იყო განპირობებული. ბაზრის მთლიანმა ბრუნვამ 4.0 მლრდ ლარი შეადგინა, რაც მაისის მაჩვენებელზე 1.0 მლრდ ლარით, ხოლო, წინა წლის ივნისთან შედარებით 0.5 მლრდ ლარით მეტია.


წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტის რესურსის ბრუნვა 0.61 მლრდ ლარით (61.2 პროცენტი), ხოლო, უცხოური ვალუტის რესურსის ბრუნვის მოცულობა 0.43 მლრდ ლარით (21.4 პროცენტი) გაიზარდა. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2021 წლის ივნისში ლარის რესურსის ბრუნვა 0.23 მლრდ ლარით (12.5 პროცენტი) შემცირდა, ხოლო უცხოური ვალუტის ბრუნვა 0.72 მლრდ ლარით (42.7 პროცენტი) გაიზარდა.

ივნისში ბანკთაშორის ფულადი ბაზრის მთლიან ბრუნვაში ლარის რესურსის ხვედრითმა წილმა 39.9 პროცენტი შეადგინა, რაც წინა თვის

მაჩვენებელზე 6.6 პროცენტული პუნქტით მეტი, ხოლო წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 12.1 პროცენტული პუნქტით ნაკლებია. რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ლარის რესურსზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.33 პროცენტული პუნქტით, ხოლო წლიურად 1.72 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 9.34 პროცენტი შეადგინა. უცხოური ვალუტის შემთხვევაში განაკვეთი თვის განმავლობაში 0.19 პროცენტული პუნქტით, ხოლო წლიურად 0.50 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 1.77 პროცენტი.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში ფულადი ბაზრის რესურსის 32.4 პროცენტი ერთ თვემდე ვადიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 65.2 პროცენტი კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

ბანკთაშორის ფულადი ბაზარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


6. საგარეო სექტორის მიმოხილვა

2021 წლის ივნისში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 43.3 პროცენტით გაიზარდა და 487.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საანგარიშო თვეში საქონლის

რეგისტრირებულმა ექსპორტმა წლიურად 30.1 პროცენტით მოიმატა და 349.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტი 37.5 პროცენტით 837.2 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა.

საქონლის ექსპორტ-იმპორტის დინამიკა

მილიონი აშშ დოლარი




წყარო: საქსტატი

იმპორტი-2021 წლის ივნისში საქონლის იმპორტი წლიურად 37.5 პროცენტით გაიზარდა. რეგიონის ქვეყნებიდან იმპორტის ზრდაში მაღალი წვლილით გამოირჩეოდა თურქეთი, რაც, ძირითადად, იზოლირებული კაბელებისა და 10-ზე მეტი მგზავრის გადამყვანი ავტომობილების შემოტანას უკავშირდება. რუსეთიდან იმპორტის ზრდა ხორბალი-მესლინის, სხვადასხვა მარცვლეულისა და ნავთობპროდუქტების, აზერბაიჯანიდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ასევე ნავთობის კოქსისა და ბიტუმის, ხოლო თურქმენეთიდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გაზრდილმა შესყიდვებმა გამოიწვია. დანარჩენი ქვეყნებიდან, კერძოდ, რუმინეთიდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, იტალიიდან სამაცივრე მოწყობილობებისა და რეზერვუარების, ირანიდან პოლიმერებისა და კერამიკული ნაწარმის,


ინდონეზიიდან და ბრაზილიიდან სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, ხოლო ჩინეთიდან ნახშირბადიანი ფოლადის ნაგლინისა და სატვირთო ავტომობილების იმპორტი გაიზარდა. ამის საპირისპიროდ, იმპორტი სომხეთიდან სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, ხოლო აშშ-დან მსუბუქი ავტომობილების შემოტანის კლებით არის გამოწვეული.

2021 წლის ივნისში ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები იყო: თურქეთი, ჩინეთი, რუსეთი, აშშ, ბრაზილია, აზერბაიჯანი და გერმანია. ჯამურად, 7 ძირითადი სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი იმპორტის 54 პროცენტი მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით იმპორტი უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის იმპორტის წლიური ცვლილება



იმპორტი ქვეყნების მიხედვით (ივნისი 2021)



წყარო: საქსტატი

2021 წლის ივნისში, იმპორტირებული საქონლის მნიშვნელოვან ნაწილს, 12.1 პროცენტს, სპილენძის მადნები და კონცენტრატები წარმოადგენდა, რომელთა ჯგუფმა იმპორტის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი 9.0 პპ შეიტანა. ასევე იმპორტზე ზრდის მიმართულებით ნავთობაირების, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, დაფასოებული სამკურნალო საშუალებების, სატელეფონო აპარატებისა და სატვირთო ავტომობილების ჯგუფების იმპორტმა (ჯამურად 8.6 პპ) მნიშვნელოვნად იმოქმედა. გარდა ამისა, სიგარეტებისა და სიგარილების, მაცივრებისა და საყინულე მოწყობილობებისა და შაქრის იმპორტი არსებითად გაიზარდა. ამის საპირისპიროდ, მსუბუქი ავტომობილების იმპორტი შემცირდა. ივნისში იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით **იმპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით**

	2021 ივნისი		2021 მაისი		2020 ივნისი	
	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან იმპორტში	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან იმპორტში	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან იმპორტში
სპილენძის მადნები და კონცენტრატები	101 571.8	12.1%	43 472.7	5.8%	46 855.4	7.7%
ნავთობი და ნავთობპროდუქტები	71 306.6	8.5%	58 659.9	7.8%	36 252.9	6.0%
მსუბუქი ავტომობილები	60 046.9	7.2%	61 026.0	8.2%	73 935.6	12.1%
სამკურნალო საშუალებები დაფასოებული	35 485.2	4.2%	31 245.0	4.2%	25 419.2	4.2%
სატელეფონო აპარატები, ფიჭური ქსელებისთვის ან სხვა უსადენო ქსელებისთვის განკუთვნილი ტელეფონების ჩათვლით	14 209.5	1.7%	26 794.1	3.6%	12 701.9	2.1%
სატვირთო ავტომობილები	11 458.4	1.4%	6 383.5	0.9%	6 088.8	1.0%
ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები სხვა	9 864.0	1.2%	10 308.7	1.4%	9 432.2	1.5%
სიგარეტი, სიგარილები და სიგარეტები თამბაქოს ან მისი შემცველებისაგან	8 921.6	1.1%	8 034.3	1.1%	6 760.3	1.1%
მაცივრები, საყინულეები და სხვა სამაცივრო ან საყინულე მოწყობილობები	7 506.7	0.9%	7 080.3	0.9%	3 463.8	0.6%
შაქარი	7 169.7	0.9%	3 986.7	0.5%	6 087.9	1.0%
სხვა	509 703.1	60.9%	490 497.0	65.6%	381 963.1	62.7%
სულ	837 243.3		747 488.2		608 961.1	

წყარო: საქსტატი


ექსპორტი - 2021 წლის ივნისში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიურად 30.1 პროცენტით გაიზარდა. რეგიონის ქვეყნებიდან საექსპორტო შემოსავლების ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რუსეთში ექსპორტის მატებამ, რაც ფეროშენადნობების, მინერალური წყლების, სხვადასხვა ხილისა და ყურძნის ნატურალური ღვინოების ექსპორტს უკავშირდება. რეგიონის სხვა ქვეყნებიდან აღსანიშნავია აზერბაიჯანში - მსუბუქი ავტომობილების, სატელეფონო აპარატებისა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, სომხეთში - ელექტროენერგიისა და სპირტიანი სასმელების, თურქეთში - შავი ლითონების ჯართის, ელექტროენერგიისა და ფეროშენადნობების, ხოლო უკრაინაში - მსუბუქი ავტომობილებისა და მინერალური სასუქების ექსპორტის ზრდა. გარდა ამისა, ყაზახეთში მსუბუქი ავტომობილებისა და ცენტრიფუგების ექსპორტი გაიზარდა. დანარჩენი

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.


ქვეყნებიდან აღსანიშნავია ესპანეთში სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების ექსპორტის მაღალი მაჩვენებლები. ამის საპირისპიროდ, ჩინეთში სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, შვეიცარიაში ნახევრად დაუმუშავებელი ოქროს, ხოლო სინგაპურში სპირტიანი სასმელებისა და ქიმიური სასუქების ექსპორტი შემცირდა.

2021 წლის ივნისში ძირითადი საექსპორტო ქვეყნები იყო: რუსეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, ჩინეთი, ბულგარეთი, სომხეთი და უკრაინა. ჯამურად, 7 ძირითადი სავაჭრო პარტნიორის წილმა მთლიანი ექსპორტის 69 პროცენტი შეადგინა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის ექსპორტის წლიური ცვლილება



ექსპორტი ქვეყნების მიხედვით (ივნისი 2021)



წყარო: საქსტატი

2021 წლის ივნისში ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების 30.1 პროცენტთან მატებაში ყველაზე დიდი წვლილი ფეროშენადნობების (12.5 პროცენტული პუნქტი) ექსპორტმა შეიტანა. ექსპორტის მოცულობაზე დადებითად აისახა მსუბუქი ავტომობილებზე, ყურძნის ნატურალურ ღვინოებზე, ყურძნის ნატურალურ ღვინოებზე, სპირტიანი სასმელებზე, მინერალურ და გაზიან წყლებსა და ტანსაცმელზე საგარეო მოთხოვნის მატება (ჯამურად 11.5 პროცენტული პუნქტი წვლილი მთლიანი ექსპორტში). ამის საპირისპიროდ,

სპილენძის მადნებისა და კონცენტრატებისა და დაფასოებული სამკურნალო საშუალებების ექსპორტი მნიშვნელოვნად შემცირდა. წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტი უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

ექსპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით


	2021 ივნისი		2021 მაისი		2020 ივნისი	
	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან ექსპორტში	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან ექსპორტში	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან ექსპორტში
სპილენძის მადნები და კონცენტრატები	64 008.9	18.3%	63 087.7	18.6%	74 701.0	27.8%
ფეროშენადნობები	41 979.0	12.0%	32 841.1	9.7%	8 445.2	3.1%
მსუბუქი ავტომობილები	39 815.7	11.4%	40 188.8	11.8%	29 665.5	11.1%
ყურძნის ნატურალური ღვინოები	21 323.8	6.1%	18 772.4	5.5%	18 116.5	6.7%
მინერალური და მტკნარი წყლები	13 696.5	3.9%	11 122.0	3.3%	6 591.4	2.5%
სპირტიანი სასმელები	11 635.3	3.3%	13 335.6	3.9%	10 182.4	3.8%
მაისურები, თბილი კვარტები და სხვა ტრიკოტაჟის ნაწარმი	6 634.5	1.9%	5 932.6	1.7%	4 761.4	1.8%
წყლები, მინერალურისა და დაგაზიანებულის ჩათვლით, შაქრის დანამატების შემცველობით	6 579.5	1.9%	6 163.7	1.8%	3 599.6	1.3%
დაფასოებული სამკურნალო საშუალებები	6 496.0	1.9%	8 095.0	2.4%	8 865.8	3.3%
ელექტროენერგია	6 311.2	1.8%	4 374.6	1.3%	2 130.9	0.8%
სხვა	130 813.4	37.5%	135 534.0	39.9%	101 405.2	37.8%
სულ	349 293.8		339 447.4		268 465.0	

წყარო: საქსტატი

ფულადი გზავნილები - 2021 წლის ივნისში საქართველოში გადმორიცხული თანხების მოცულობა წინა წელთან შედარებით 19.3 პროცენტით გაიზარდა და 201.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქართველოდან გადმორიცხული თანხების მოცულობა 20.8 პროცენტით 26.5 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა.


საანგარიშო თვეში რეგიონის ქვეყნებიდან მაღალი ტემპით გაიზარდა ყაზახეთიდან (193.5 პროცენტით) და აზერბაიჯანიდან (49.9 პროცენტით) გადმორიცხული ფულადი სახსრები, რომელთა წვლილები მთლიანი გზავნილების ცვლილებაში 1.8 და 1.4 პროცენტული პუნქტებით აისახა. ფულადი გადმორიცხვები ასევე უკრაინიდან, ყირგიზეთიდან და რუსეთიდან გაიზარდა, ხოლო თურქეთიდან დაიკლო. საანგარიშო თვეში ევროკავშირის ქვეყნებიდან გადმორიცხულმა თანხებმა 17.4 პროცენტით მოიმატა (7.2 კპ წვლილი), რაც იტალიიდან (18.3 პროცენტით) და გერმანიიდან (47.5 პროცენტით) გაზრდილმა გზავნილებმა განაპირობა. დანარჩენი ქვეყნებიდან ფულადი გზავნილების ზრდაზე დადებითი ზეგავლენა მოახდინა აშშ-დან (24.6 პროცენტით) და ისრაელიდან (12.8 პროცენტით) მიღებულმა თანხებმა. რაც შეეხება ქვეყნების მიხედვით განაწილებას, ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (40.9 პროცენტი) და რუსეთი (19.4 პროცენტი) წარმოადგენდნენ. ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიისა და გერმანიის მაღალი წილი მთლიან ფულად გზავნილებში.

წილი მთლიან ფულად გზავნილებში (ივნისი 2021)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ქვეყნების წვლილი სწრაფი ფულადი გზავნილების ზრდაში




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ტურიზმი - 2021 წლის ივნისში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 286.8 პროცენტით გაიზარდა. ტურისტების რაოდენობამ მთლიანი ვიზიტორების 91.0 პროცენ-

ტი შეადგინა და წლიურად 361.6 პროცენტით მოიმატა. საანგარიშო თვეში ერთდღიანი ვიზიტების რაოდენობა გაიზარდა.

ვიზიტორები ტიპების მიხედვით



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია


2021 წლის ივნისში, გლობალურად, მათ შორის საქართველოში, საერთაშორისო მოგზაურობასთან დაკავშირებული გარკვეული შეზღუდვები კვლავ მოქმედებდა. თუმცა, ვაქცინაციის დაწყებამ და საერთაშორისო მიმოსვლის შედარებითმა გამოცოცხლებამ უცხოელი ვიზიტორების რაოდენობის ზრდა განაპირობა - ივნისში წლიურად 286.8 პროცენტით. გასათვალისწინებელია, რომ 2020 წლის ივნისში უცხოელ ვიზიტორთა შემოსვლა პრაქტიკულად შეჩერებული იყო და, შესაბამისად, უცხოელ ვიზიტორთა ასეთი მაღალი ზრდა საბაზო ეფექტს უკავშირდება. 2019 წლის ივნისთან შედარებით კი 79.8 პროცენტით ნაკლები ვიზიტორი შემოვიდა. რეგიონის ქვეყნებიდან ყველაზე დიდი წვლილები ვიზიტორების ზრდაში უკრაინიდან (38.0 პპ), თურქეთიდან (36.3 პპ) და რუსეთიდან (30.4 პპ) შემოსულმა ვიზიტორებმა შეიტანეს. ევროკავშირის ქვეყნებიდან ვიზიტორთა რაოდენობა 12.8-ჯერ გაიზარდა, რამაც მთლიან

ზრდაში 22.3 პპ წვლილი შეადგინა. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია ისრაელიდან შემოსული ვიზიტორების რაოდენობა, როგორც ზრდის ტემპით (344-ჯერ მეტი ვიზიტორი), ასევე მთლიან ზრდაში მაღალი წვლილით (41.6 პპ).

ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები – 2021 წლის ივნისში ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 235.1 მლნ აშშ დოლარით შემცირდა. საერთაშორისო რეზერვებზე კლების მიმართულებით, ძირითადად, ბანკებთან განხორციელებულმა სვოპ ოპერაციებმა და მთავრობის სავალუტო ხარჯებმა იმოქმედა.

ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები

მილიარდი აშშ დოლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, სანაპიროს ქ. N2
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ცხელი ხაზი: 240 64 06
ელ-ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge

